გილოცავთ დამდეგ ახალ წელს!

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №24(110) 2015 წ. 16-31 დეკემბერი ფასი 50 თეთრი

ვაჟა-ფშაველა

საახალწლო ფიქრები

ჩვენ კაცთა ბუნების წესია მოლოდინი საუკეთესო მერმისისა: უსათუოდ ხვალინდელი დღისაგან მოველით რასმე კარგს: ეს გვასულდგმულებს, გვამხნევებს, ძალას გვმატებს, ყოველდღიურ ვარამს გვინელებს გულში და სიცოცხლესაც გვაყვარებს. კაცი, რომელიც ხვალინდელი დღისგან არაფერს მოელის, გადუწყვეტია იმედი, ცოცხალ-მკვდარია, ის ცოცხლებში ჩასათვლელი არაა... ყოველ მის საქმეს, მოძრაობას და მოქმედებასაც არა აქვს შნო, არა აქვს ლაზათი. იმას არც თავმოყვარეობა აქვს, არც სხვის სიყვარული შეუძლიან, არც საქმისა. აკლია მხნეობა. ეგრეთვე თუ ერი, როგორც კრებული ადამიანთა, საბრალოა ქვეყანა, საწყალია ის ერი, რომელსაც დაუკარგავ იმედი ხვალინდელი დღისა, საუკეთესო მერმისისა. თამამად ვიტყვი, რაც უნდა დაბეჩავებული იყოს ერი, რაც უნდა გასაწყლებული, თუ საუკეთესო მერმისს მოელის და არ გადუწყვეტია იმედი და არ ფიქრობს: „ეგ არის, ჩემი საქმე მორჩომილია, დაღუპული ვარო“, ის ერი არც დაიღუპება, არც მოკვდება. მომაკვდინებელს გარემოებაში და პირობებში რომ იყოს, გარემოებას შეცვლის და გაიმარჯვებს კიდეც. ხომ იცით კერძო ცხოვრებიდან მაგალითები, ექიმის იმედიან სიტყვას მომაკვდავი სნეული ფეხზე წამოეყენოს. იმედიანმა სიტყვამ იმედი დაუბადა გულში სნეულს და გააცოცხლა, მაგრამ იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ იმედს როცა აძლევს ექიმი, თან წამალსაც შესაფერს ასმევს სნეულს, ისეთს წამალს – მის სნეულებას რომ მოუხდეს და არა შხამს, საწამლავს. შეიძლება სნეული ცალკე აღებული ადამიანი, მარტო იმედით მორჩეს, უწამლოდ, უარარაოდ, ხოლო დასნეულებული, დაავადებული ერი არასოდეს მარტო ცალიერის იმედით არ მორჩება, თუ წამალი არ მიეშველა. მაინც ერი იმედიანად არასოდეს არ არის, თუ იგი თავის სხეულში არ ჰპოვებს წამალს, არა ჰხედავს ნიშნებს საუკეთესო მერმისისას და მომავლისას.

რაკი მომავლის იმედზე ვამბობთ, ისიც აუცილებლად საჭიროა ითქვას, რომ ერი არასოდეს უიმედობას არ მიეცემა, სასოწარკვეთაში არ ჩავარდება და მომავლის იმედს არ ჰკარგავს. უიმედობა მომავალზე ეს ჩვენი ეგრეთწოდებული ერთგვარი ინტელიგენციის ოცნების ცუღლუტობაა და სხვა არარა, ეს უსაქმურთა და უკეთურთა საქმეა. იცნობს ამის მთქმელი ერს? იცის მისი სულის და გულის ვითარება? არაფერი ეს ამ მომავლის იმედის მომწამვლელთ არ იციან, იმიტომ რომ თითონ არაფრის გაკეთება, არაფრის უნარი არა აქვთ, არაფერი ცხოვრებისა არ ესმით, ერის ძალ-ღონე აწონილ-გაზომილი არა აქვთ. ან კი რას ვამბობ: ვინც ჯერ თავის თავს არ იცნობს, თავისი ძალ-ღონე არ შეუგნია, იგი ერს როგორ იცნობს, მის ძლიერებას, ან სისუსტეს როგორ შეიგნებს?!.. სხვა რამ თქვი, დალოცვილო, რომ ახალი წლის დღესასწაულს შაეფერებოდესო“. უსამართლო რისხვაა. ახალ წელს სწორედ ამ საგანზე შაეფერება საუბარი. რადა-თქო? – მკითხეთ. იმიტომ, მეც მოგახსენებთ, რომ რაც უნდა უფერულ და უიმედო ყოფაში იყოს ადამიანი, ახალ წელს მაინც იმედით ეგებება, როგორც კარგის რისამე მომტანს, კარგის მომასწავებელს. უნუგეშოდ, უიმედოდ დახვედრა კი დიდი ცოდვაა. თქვენ, მკითხველო, ალბათ არ იცით, რომ ჩვენა გვყვანან „უიმედონი“ ინტელიგენტები, რომელთაც სხვა არა რა სწამთ და არცა რას დაიჯერებენ გარდა „კოსმოპოლიტიზმისა“. ნაციონალიზმი იმათ არ სწამთ, ნამეტნავად ქართული: ჩვენ ჩვენად არაფერს წარმოვადგენთ, არაფერნი ვართ, თუ სხვა ერს არ შეუერთდით და „ჩვენობა“ არ უარვყავითო. პატრიოტები იმათ ფიქრით ვიწრო, მოკლე შეხედულებისანი არიან და იმათ კი „ვრცელი“ შეხედულება აქვთ. ესენი ბალღები არიან, წვრილფეხობაა, და როგორც მოგეხსენებათ, ბალღს ლულია უყვარს. დიაღ, ბალღები არიან და სამწუხაროც ეს არის, რომ რაც ახალგაზრდული ძალ-ღონე აქვთ, შაალევენ ჰაერში კოშკების გებას და როცა მოიღლებიან გულითა და გონებით, გატეხილნი, დაუძლურებულნი, მაშინ „დაბრუნდებიან შინა“, მაშინ მოიკითხვენ საკუთარ კერას, საკუთარ ბინას, მაგრამ უღონონი, უგულონი რაღას მაქნისები იქნებიან?!.. სამწუხარო მოვლენაა დიდად!.. ეს ყრმანი შებრალების ღირსნი არიან, ხოლო ისინი, ვინც ამათ ამ გვარს საკენკს უყრის, წყევლის და სიძულვილისა.

ამ ახალ-წლის დამდეგს ეს ფიქრი მოდის ძალა-უნებურად, რომ ყველამ მოინანიოს წარსულის წლის შეცოდებანი და ***ახალ წელს მივეგებნეთ ახლის ძალით, მხნეობით, გულ-წრფელად და ჩავიჭდიოთ ღრმად გულში ეს მცნება: საცა ვცხოვრობთ, და რომელი ქვეყნის შვილებიცა ვართ, რომელი ქვეყნის პურით, ღვინით, წყლით და ჰაერით ვსაზრდოობთ, იმას ვარგოთ რამ, ვაკეთოთ იმის სასარგებლოდ ჩვენის ძალ-ღონის დაგვარად რაც კი შეგვიძლიან, რომელი ასპარეზიც უნდა იყოს – ეკონომიური, ზნეობრივი, პედაგოგიური, ლიტერატურული და სხვა. თუ ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვის ვიქნებით კარგნი, ჩვენს საკუთარს შინაურ საქმეს წავიყვანთ კარგად, მაშინ მთელი კაცობრიობისათვისაც სასარგებლონი ვიქნებით. თუ არა და, ტყუილი მოცდენაა, ამაო შრომაა, ვინც იმას ამბობს, კაცობრიობას უნდა ვარგოვო და ეს სარგებლობა ჯერ თავის ძმებისთვის ვერ მოუტანია, თავის ქვეყნისათვის – რომლის ღვიძლი შვილია, – რომლის ავი და კარგი ესმის (და თუ არ ესმის თავის შინაობის ავი და კარგი, ის სხვისას როგორ გაიგონებს და, მაშასადამე, ან რას არგებს).***

საახალწლო სურვილები

იორმუღანლოს საჯარო სკოლის ქართული სქტორის მეორეკლასელები (პედაგოგი თეა გურგენიძე)

ყველა ეროვნების ბავშვი ბავშვია და მათ, მიუხედავად იმისა, რა ხდება ქვეყანაში, ერთნაირად უნდათ სითბო, სიყვარული, მოფერება და ახალი წელიც ყველასთვის ერთნაირად მოდის. სურვილებიც ერთნაირი აქვთ; გოგონები გრძელთმიან, ცისფერთვალება თოჯინებზე ოცნებობენ, ბიჭები– ლამაზ მანქანებზე. ამაში გასაკვირი არაფერია. მეც, როგორც ყველა სხვა მასწავლებელს, ჩემი შრომის დანახვა და ჩემი აღსაზრდელების წარმატება გამხდომია სანატრელად... მაგრამ აქ, ამ პატარა, ჩაკეტილ სამყაროში ჩვენს საახალწლო სურვილებს საჭიროებები განსაზღვრავს. ბავშვებს ქართული ხალხური ზღაპრების წიგნები, მე კი ჩემი მოსწავლეების ქართულად კარგად აჭიკჭიკება გვინდა საახალწლო სურვილად ჩავიფიქროთ. და კიდევ ის, რაც წლებია გვაწუხებს, სკოლის ახალ შენობაში გადასვლა, დიდი, ნათელი ფანჯრებიდან შემოჭრილი მზის სხივების სითბოზე პატარა გულების გათბობა.

მე მინდა მქონდეს ექიმის ინსტრუმენტები, კაბინეტი, მოვიდნენ ავადმყოფები, ვუმკურნალო და მოვარჩინო.

მინდა თოვლის პაპამ მომიტანოს ბევრი კანფეტები და ტკბილეული და ყველას დავურიგო.



მინდა თოვლს პაპამ მომიყვანოს დიდი კურდღელი და მომიტანოს სხვა ბევრი საჩუქარი.

სახმარ გაჯიევი მუღანლოს საჯარო სკოლის პირველკლასელი და ძიუდოს სექციის მოსწავლეა. დიდი სურვილი აქვს გახდეს საქართველოს ჩემპიონი ძიუდოში. წინასაახალწლო ოცნებიდან კი ერთი სურვილი აქვს – ჰქონდეს ველოსიპედი.

ჯილდო ადგილობრივ თვითმმართველობაში საუკეთესო პრაქტიკისთვის

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინკლუზიური პროგრამა „მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და მათთვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა“, იმ 10 საუკეთესო პროექტს შორის დასახელდა, რომელიც 2015 წელს თვითმმართველ ორგანოებში განხორციელდა.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში:

* შეიქმნა მონაცემთა ბაზა.

* ბაზაში არსებული ინფორმაციის საფუძველზე გუნდის მიერ შესწავლილ იქნა შშმ პირების სხვადასხვა საჭიროებები.

* ჩამოყალიბდა მულტიდისციპლინური გუნდი.

ყველა სამშენებლო პროექტის შეთანხმებისას მუნიციპალიტეტის მოთხოვნაა ადაპტირებული მისასვლელების გათვალისწინება.

საავტომობილო გზების რეაბილიტაციის დროს გათვალისწინებულია ადაპტირებული გადასასვლელები.

მოხდა საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და ადაპტირება.

შშმ ბავშვების ჩართულობის მიზნით მოეწყო ექსკურსია, ხოლო საგარეჯოს თოჯინების თეატრმა სპექტაკლი „ხუთკუნჭულა“ წარმოადგინა.

თბილისში გამართულ კონფერენციაზე სახელწოდებით “ადგილობრივი თვითმმართველობა – საუკეთესო პრაქტიკა 2015” ადგილობრივ თვითმმართველობაში საუკეთესო პრაქტიკისთვის ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი* გიორგი გზირიშვილი** დააჯილდოვა. გიორგი გზირიშვილს ჯილდო ***საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა* გიორგი ამაშუკელმა** გადასცა.

ახლადარჩეული დეპუტატი საჩუქრებით საჯარო სკოლებში

დეკემბრის ბოლოს საქართველოს პარლამენტში ***საგარეჯოს მაჟორიტარმა დეპუტატმა* თამარ ხიდაშელმა** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 8 სკოლას 1200 წიგნი გადასცა – ეროვნული ბიბლიოთეკისა და “წიგნი ყველა სოფელს” პროექტის ფარგლებში

წიგნები გადაეცათ საგარეჯოს მე-4, უდაბნოს, იორმუღანლოს, დუზაგრამის, დიდი ჩაილურისა და მანავის საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებს.

უდაბნოში

საგარეჯოს IV საჯარო სკოლაში

მანავის საჯარო სკოლაში

იორმუღანლოს საჯარო სკოლაში

საგარეჯოს IV საჯარო სკოლაში

დიდი ჩაილურის საჯარო სკოლაში

სოფლის მეურნეობა – 2015 წელი წარმატებული

სოფლის მეურნეობის დარგმა ჩვენი ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაში ერთ-ერთი მთავარი როლი უნდა შეასრულოს. სწორედ ამიტომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ახალმა მთავრობამ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტად გამოაცხადა და დაიწყო ისეთი სისტემური ცვლილებების განხორციელება, რაც გლეხებს, ფერმერებს და მეწარმეებს მეტ სტიმულს მისცემს, ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის დარგის მაქსიმალურად სწრაფ და ეფექტიან განვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უძველესი აგრარული ქვეყანაა, დღეს ის მსოფლიოს მოწინავე აგრარულ ქვეყნებს კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩება. გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ სოფლის მეურნეობის პოლიტიკა რადიკალურად შეიცვალა. მეურნეობის მრავალფორმიანობამ მძლავრი მეურნეობების დაშლა გამოიწვია. მიწების დანაწევრებამ ისედაც მცირემიწიანი ქვეყნის სახნავ-სათესი ფართობების გამოყენების არეალი შეამცირა. საქართველოს აგრარულ სექტორში შექმნილი კრიზისის დასაძლევად ჩვენი ქვეყნის მთავრობის მიერ დაწყებული ფართომასშტაბიანი ღონისძიებების განხორციელება მისასალმებელია.

სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადებამ დადებითი შედეგები გამოიღო ჩვენს მუნიციპალიტეტშიც. კერძოდ, მიმდინარე წელს წარმოებული იქნა 11700 ტონა ხორბალი. საშუალოდ 1 ჰექტარზე 3.5 ტონა. ქერი – 2202 ტონა, საშუალოდ – 4.1 ტონა.

საშემოდგომო კულტურების მაღალი მოსავლიანობა გამოწვეული იყო არა მარტო კარგი კლიმატური პირობებით, არამედ მაღალხარისხიანი სათესლე მასალით და ამ კულტურების თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით მოყვანით.

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულმა საგაზაფხულო პროგრამამ, რომელიც ითვალისწინებდა მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობას, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საგაზაფხულო კულტურების მოსავლიანობის გაზრდას. კერძოდ, წარმოებული იყო 22058 ტ. სიმინდი – საშუალოდ ჰა-ზე 4.5 ტონა. მიმდინარე წლის გაზაფხულზე პროგრამის ფარგლებში მოიხნა 3146 ჰა მიწის ფართობი, ხოლო შემოდგომაზე – 700-ჰა-მდე. წარმატებით დასრულდა საშემოდგომო კულტურების ხვნა-თესვის კამპანია მუნიციპალიტეტში. დღეის მდგომარეობით ხორბალი დათესილია 5430 ჰა-ზე, ხოლო ქერი – 1800 ჰა-ზე.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ისეთი ტრადიციული დარგი, როგორიცაა მევენახეობა. სულ ღვინის ქარხნებს ჩაბარდა 8865 ტონა რქაწითელი, 5637 ტონა საფერავი, 897 ტონა კახური მწვანე, 297 ტონა სხვა ჯიშები. რაიონში წარმოებული იყო 22411 ტონა ყურძენი.

ყურძნის დროულად მიღებაგადამუშავებაში დიდი წვლილი შეიტანეს მუნიციპალიტეტში არსებულმა ღვინის ქარხნებმა. მათ შორის: შპს „კახეთი-3000“ (დირექტორი გ. ერბოწონაშვილი), სააქციო საზოგადოება „ბადიაური“ (დირექტორი თ. გეგეშიძე), სააქციო საზოგადოება „შატო მანავი“, შპს „საამო“, საგარეჯოს ყურძნის პირველადი გადამუშავების ქარხანა (დირექტორი თ. ქვლივიძე), შპს „ბატონო“ (დირექტორი ზ. დეკანოზიშვილი) და სხვებმა.

საქართველოს პარლამენტის მიერ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ ახალი კანონის მიღებამ ქვეყნის აგრარული დარგის განვითარებას მძლავრი სტიმული მისცა. დღეს ჩვენს მუნიციპალიტეტში მოქმედებს 22 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. მათგან: 4 – მეფუტკრეობის დარგში, 11 მეცხოველეობის დარგში, დანარჩენები აქტიურად მუშაობენ სხვადასხვა მიმართულებით – ძირითადად მევენახეობაში, საკვებწარმოებასა და ა.შ. მეტად წარმატებული იყო მიმდინარე წელი კოოპერატივ „ნიკრომისათვის“ (გამგეობის თავმჯდომარე სოფიო მანძულაშვილი-ხარებავა) და კოოპერატივ „აპიკორპისათვის“ (გამგეობის თავმჯდომარე თენგიზ სალუქვაძე), რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ევროპის სამეზობლო პროგრამა „სოფლის მეურნეობის და სასოფლო განვითარებისათვის საქართველოში“ (ENPABD საქართველო) გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში, რომელსაც ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია „Mercycorps“ და გადალახეს ყველა ეტაპი.

აქტიურად მუშაობენ კოოპერატივები „პალდოველი-2014“ (გამგეობის თავმჯდომარე ლეილა ციგროშვილი), „მეფუტკრე“ (თავმჯდომარე ლიზი ბალიაშვილი), „იორი“ (გამგეობის თავმჯდომარე სახავათ გუსეინოვი).

მეტად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილება №444-ში სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ 2015 წლის 12 თებერვლის №56 დადგენილების ცვლილების თანახმად მიწის ფართობი, სადაც იგეგმება მრავალწლიანი კულტურების ბაღის მოწყობა, უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1 ჰა-ს 5 ჰა-ს ნაცვლად. აღნიშნული ცვლილებები დიდ სტიმულს მისცემს მუნიციპალიტეტის ფერმერებს, რომლებიც ფართის გამო ვერ ახერხებდნენ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მიღებას. კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ პროგრამის მიხედვით სახელმწიფო ნერგების ღირებულების 70%-ს დააფინანსებს და ამავე დროს წვეთოვანი სარწყავი სისტემის ღირებულების 50%-ს (არაუმეტეს 2500 ლარისა 1 ჰა-ზე). ჩვენს მუნიციპალიტეტში უკვე გაშენდა 2 ბაღი, სადაც სხვადასხვა მრავალწლიანი კულტურები დაირგო, მათ შორის: შავი ქლიავი, თხილი, ნუში და სხვა.

უფროსი, აგროინჟინერიის დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის მრჩეველი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ 2015 წლის სექტემბრიდან დაიწყო მეფუტკრეობის მხარდაჭერის პროგრამა, რომელსაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ მეშვეობით ახორციელებს. პროგრამის ფარგლებში სააგენტოს მიერ განხორციელდება 10 ჩარჩოიანი ხის სკების სახელმწიფო შესყიდვა. აღნიშნული სკები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გადაეცემათ შეღავათიან ფასად – სკების ღირებულების 30%-ის ოდენობით. მონაწილეებს გადაეცემათ მათ ბალანსზე არსებული სკების იდენტური რაოდენობა, მაგრამ არაუმეტეს 100 ცალისა.

დროული აცრების ჩატარებით და სხვადასხვა პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებით, მუნიციპალიტეტის მეცხოველეებს დროულ დახმარებას უწევდნენ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლები: ჯ. ოსიაშვილი, ნ. ბუზარიაშვილი. მცენარეთა დაცვის კუთხით დიდი სამუშაოები შეასრულა ამავე სამმართველოს სპეციალისტმა ნ. დათუნაშვილმა, რომელიც დროულად აცნობდა სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობას რაიონში არსებული მცენარეთა დაავადებების და მავნე მწერების გავრცელების შესახებ. მისი აქტიური მუშაობით ლიკვიდირებულ იქნა რამდენჯერმე იტალიური კალიების შემოსევა. მაღალი მოსავლის მიღებაში და მის დროულად აღება-დაბინავებაში დიდი როლი შეასრულა შპს „მექანიზატორმა“ და მისმა ხელმძღვანელმა გია მარხვაშვილმა. მათ წარმატებით გაართვეს თავი მათ წინაშე მდგომ ამოცანებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ გია მარხვაშვილი და მისი კოლექტივი შესრულებული სამუშაოებით ჩვენს ქვეყანაში პირველ ადგილზეა, რისთვისაც შპს „მექანიზატორის“ ხელმძღვანელობამ ის სპეციალური პრიზით დააჯილდოვა.

მიმდინარე წლის უდიდესი სამელიორაციო სამუშაოები შეასრულა შპს „საქართველოს გაერთიანებული მელიორაციის საგარეჯოს სერვის-ცენტრმა“ და მისმა ხელმძღვანელმა უ. თაბაგარმა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მარცხენა მაგისტრალური არხის მე-9 გამშვების მთლიანი რეაბილიტაცია. ზაფხულის გვალვის პერიოდში გამართულად მუშაობდა მუნიციპალიტეტში არსებული სარწყავი სისტემები. წელს პირველად მოირწყო ისეთი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სადაც ვერ წვდება მაგისტრალური არხები. ყველა ეს სამუშაო იტალიიდან შემოტანილი მობილური გადასატანი სატუმბი სადგურებით განხორციელდა.

მიმდინარე წელს მაღალი მოსავლის მიღებით თავი გამოიჩინა ბევრმა ფერმერმა, მათ შორის არიან: ვანო ქვლივიძე, თამაზ კეკლიშვილი, გია ბედიაშვილი, ტარიელ როსტომაშვილი, გოჩა აბესაძე, იურა სეხნიაშვილი, გელა ფხალაძე, თამაზ ქვლივიძე, ვანო აგულაშვილი, დავით ზირაქაშვილი, გივი მათიაშვილი, ძაგული მათიაშვილი და სხვა.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო რაიონის ხელმძღვანელობას, გამგებლის წარმომადგენლებს სოფლებში, რომლებიც ყოველმხრივ ეხმარებიან და მხარში უდგანან ჩვენს ფერმერებს. ასევე მინდა მივულოცო ახალი 2016 წელი ჩვენი მუნიციპალიტეტის ფერმერებს და ვუსურვო მათ წარმატებები ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ.

ნიკო ჯავახიშვილი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის მორიგ სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარე ზრიდონ ბურდული*** უძღვებოდა. დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის გამგეობის ***საფინანსო საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების გამგემ*** **ხათუნა ყორღანაშვილმა.**

საკითხის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2016 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მოხსენება გააკეთა გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების გამგემ **სოფიო შაქარაშვილმა.**

ცვლილებები შვიდა „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის 29 დადგენილებაში.

სხდომაზე მოსმენილ იქნა მთელი რიგი საკითხები, რაზედაც საკრებულომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები:

– ძალადაკარგულად გამოცხადდა „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის №32 დადგენილება.

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების (ქ.საგარეჯოში დავით აღმაშენებლის ქ. 15–ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულის ორი ოთახი: 95 და 96 საერთო ფართით 51კვ.მ) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის (ქირავნობა) უფლებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს გადაეცა დეპუტატის უფლებამოსილების ვადით.

– სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1076 კვ.მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 55.12.76.008) ნაწილის–735კვ.მ ფართი.

– ცვლილება შევიდა „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 აგვისტოს 65 განკარგულებაში .

– ცვლილება შევიდა „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სკოლამდელი დაწესებულებათა გაერთიანების“ საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 25 ოქტომბრის 92 განკარგულებაში.

– მიეცა თანხმობა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ სოფელ იორმუღალნოს, სოფელ კაკაბეთის, ქ.საგარეჯოში ერეკლე II–ის და მერაბ კოსტავას ქუჩების გასწვრივ გამავალი 10კვ. საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების მიმდებარედ არსებული მრავალწლიანი ნარგავების (ალვის ხეები) გადაბელვა–გაკაფვითი სამუშაოების შესრულებისათვის.

– მოწონებულ იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დარჩენილი თანხებით შესასრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტი.

– ასევე, მოწონებულ იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016–2017 წლის განსახორციელებელი პროექტები.

– ნუმერაცია მიენიჭა საგარეჯოში არსებულ საცხოვრებელ სახლებს.

2016 წელი

საეკლესიო კალენდარი

1 მაისი — ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი

იანვარი

ორშაბათი		4	11	18	25
სამშაბათი		5	12	19	26
ოთხშაბათი		6	13	20	27
ხუთშაბათი		7	14	21	28
პარასკევი	1	8	15	22	29
შაბათი	2	9	16	23	30
კვირა	3	10	17	24	31

თებერვალი

	1	8	15	22	29
	2	9	16	23	
	3	10	17	24	
	4	11	18	25	
	5	12	19	26	
	6	13	20	27	
	7	14	21	28	

მარტი

		7	14	21	28
	1	8	15	22	29
	2	9	16	23	30
	3	10	17	24	31
	4	11	18	25	
	5	12	19	26	
	6	13	20	27	

აპრილი

		4	11	18	25
		5	12	19	26
		6	13	20	27
		7	14	21	28
	1	8	15	22	29
	2	9	16	23	30
	3	10	17	24	

მაისი

ორშაბათი		2	9	16	23	30
სამშაბათი		3	10	17	24	31
ოთხშაბათი		4	11	18	25	
ხუთშაბათი		5	12	19	26	
პარასკევი		6	13	20	27	
შაბათი		7	14	21	28	
კვირა	1	8	15	22	29	

ივნისი

	6	13	20	27	
	7	14	21	28	
1	8	15	22	29	
2	9	16	23	30	
3	10	17	24		
4	11	18	25		
5	12	19	26		

ივლისი

	4	11	18	25
	5	12	19	26
	6	13	20	27
	7	14	21	28
1	8	15	22	29
2	9	16	23	30
3	10	17	24	31

აგვისტო

1	8	15	22	29
2	9	16	23	30
3	10	17	24	31
4	11	18	25	
5	12	19	26	
6	13	20	27	
7	14	21	28	

სექტემბერი

ორშაბათი		5	12	19	26
სამშაბათი		6	13	20	27
ოთხშაბათი		7	14	21	28
ხუთშაბათი	1	8	15	22	29
პარასკევი	2	9	16	23	30
შაბათი	3	10	17	24	
კვირა	4	11	18	25	

ოქტომბერი

	3	10	17	24	31
	4	11	18	25	
	5	12	19	26	
	6	13	20	27	
	7	14	21	28	
1	8	15	22	29	
2	9	16	23	30	

ნოემბერი

	7	14	21	28
1	8	15	22	29
2	9	16	23	30
3	10	17	24	
4	11	18	25	
5	12	19	26	
6	13	20	27	

დეკემბერი

	5	12	19	26
	6	13	20	27
	7	14	21	28
1	8	15	22	29
2	9	16	23	30
3	10	17	24	31
4	11	18	25	

მარხვის დღე — მიცვალებულთა ხსენება — ყველიერის დღე — ბრწყინვალე შვიდეული — მსგეფსი — 12 დიდი დღესასწაული

2016 წელი

	იანვარი					თებერვალი					მარტი					აპრილი				
ორშაბათი	4	11	18	25		1	8	15	22	29		7	14	21	28	4	11	18	25	
სამშაბათი	5	12	19	26		2	9	16	23		1	8	15	22	29	5	12	19	26	
ოთხშაბათი	6	13	20	27		3	10	17	24		2	9	16	23	30	6	13	20	27	
ხუთშაბათი	7	14	21	28		4	11	18	25		3	10	17	24	31	7	14	21	28	
პარასკევი	1	8	15	22	29	5	12	19	26		4	11	18	25		1	8	15	22	29
შაბათი	2	9	16	23	30	6	13	20	27		5	12	19	26		2	9	16	23	30
კვირა	3	10	17	24	31	7	14	21	28		6	13	20	27		3	10	17	24	

	მაისი						ივნისი					ივლისი					აგვისტო				
ორშაბათი		2	9	16	23	30		6	13	20	27		4	11	18	25	1	8	15	22	29
სამშაბათი		3	10	17	24	31		7	14	21	28		5	12	19	26	2	9	16	23	30
ოთხშაბათი		4	11	18	25		1	8	15	22	29		6	13	20	27	3	10	17	24	31
ხუთშაბათი		5	12	19	26		2	9	16	23	30		7	14	21	28	4	11	18	25	
პარასკევი		6	13	20	27		3	10	17	24		1	8	15	22	29	5	12	19	26	
შაბათი		7	14	21	28		4	11	18	25		2	9	16	23	30	6	13	20	27	
კვირა	1	8	15	22	29		5	12	19	26		3	10	17	24	31	7	14	21	28	

	სექტემბერი					ოქტომბერი					ნოემბერი					დეკემბერი				
ორშაბათი		5	12	19	26		3	10	17	24	31		7	14	21	28		5	12	19	26
სამშაბათი		6	13	20	27		4	11	18	25		1	8	15	22	29		6	13	20	27
ოთხშაბათი		7	14	21	28		5	12	19	26		2	9	16	23	30		7	14	21	28
ხუთშაბათი	1	8	15	22	29		6	13	20	27		3	10	17	24		1	8	15	22	29
პარასკევი	2	9	16	23	30		7	14	21	28		4	11	18	25		2	9	16	23	30
შაბათი	3	10	17	24		1	8	15	22	29		5	12	19	26		3	10	17	24	31
კვირა	4	11	18	25		2	9	16	23	30		6	13	20	27		4	11	18	25	

ინფრასტრუქტურა-2015

2015 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებული „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით 44 პროექტი განხორციელდა (1012296 ლარის ღირებულების), ხოლო რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით — 11 პროექტი (2435273 ლარის ღირებულების).მათგან დიდი ყურადღება მიექცა ქუჩების, გზების მოწესრიგებას, მოასფალტებას, სასმელი წყლის სათავე ნაგებობებისა და მაგისტრალების შეკეთებას. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი თანხები გაიღო საგარეჯოს მუნიციპალიტეტმა სოფლად ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად. მაშ, ასე:

ასფალტის საფარი დაიგო:

* ქ. საგარეჯოში, ერეკლე II-ის ქუჩაზე — 2.2 კმ-ზე;
* ქ. საგარეჯოში, თამარ მეფის ქუჩაზე — 0.51 კმ-ზე;
* სოფელ გიორგიწმინდაში — 0.9 კმ-ზე;
* სოფელ კაკაბეთში — 2.1 კმ-ზე;
* სოფელ ბადიაურში — 0.7 კმ-ზე;

(სულ 6.46კმ)

მოიხრეშა:

* სოფელ თულარში — 1.2კმ გზა
* სოფელ ლამბალოში — 2.7კმ
* სოფელ იორმუღანლოში — 2.4 კმ
* სოფელ ბადიაურში — 1.85კმ
* სოფელ კაკაბეთში — 2.58კმ
* სოფელ მანავში — 2.4კმ
* სოფელ ნინოწმინდაში — 1.5კმ
* სოფელ წყაროსთავში — 0.8კმ
* სოფელ ვაშლიანში — 2.2კმ

(სულ 17,63კმ)

კაკაბეთი

* სოფელ ანთოკში — 1.1 კმ
* სოფელ მარიამჯვარში — 0.8 კმ
* სოფელ კაკაბეთში — 0.55კმ
* სოფელ მანავში — 0.8 კმ

(სულ 5.02 კმ)

გაკეთდა ახალი წყალსადენი:

* სოფელ კაკაბეთში — 2.8კმ
* სოფელ დიდ ჩაილურში — 3.2 კმ
* სოფელ დუზაგრამაში — 3.3 კმ
* სოფელ მანავში — 5.1კმ
* სოფელ თოხლიაურში — 1 კმ
* სოფელ გომბორში — 0.85 კმ
* სოფელ ასკილაურში — 1 კმ
* სოფელ გორანაში — 0.8 კმ

(სულ 18.05კმ)

გაკეთდა სარიტუალო დარბაზი

* სოფელ უდაბნოსა და
* სოფელ თულარში

შეკეთდა

* არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტული დარბაზი.



საგარეჯო, თამარ მეფის ქუჩა

საგარეჯო, ერეკლე II-ის ქუჩა

საგარეჯო, ერეკლე II-ის ქუჩა

ბადიაური

მოეწყო სანიაღვრე არხები

* სოფელ იორმუღანლოში — 3 კმ მიწის კიუვეტი;
* სოფელ ყანდაურაში — 0.7 კმ რკინა-ბეტონის კიუვეტი
* სოფელ მანავში — 0.12 კმ რკინა-ბეტონის კიუვეტი
* სოფელ ნინოწმინდაში — 1.1 კმ რკინა-ბეტონის კიუვეტი

(სულ 3 კმ მიწის და 1.92 კმ რკინა-ბეტონის კიუვეტი)

მოეწყო სასმელი წყლის სათავე ნაგებობები

* სოფელ კაკაბეთში — 1 (ახალი სათავე-ნაგებობა)
* სოფელ გომბორში — 1 სათავე-ნაგებობა
* სოფელ ასკილაურში — 1 სათავე-ნაგებობა

ამოიცვალა დაზიანებული სასმელი წყლის მილი:

* სოფელ გომბორში — 1.1 კმ გრძივი მილი
* სოფელ ხაშმში — 0.1 კმ
* სოფელ ნინოწმინდაში — 0.6 კმ

მადლობა

კობა ბუზარიაშვილის ოჯახი მადლობას უხდის და დამდეგ შობა-ახალ წელს ულოცავს ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს* ბიორბი ბზირიშვილს**, ***გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსს* ბიორბი ძურდოვანიძეს, *ამავე სამსახურის მთავარ სპეციალისტს* რომან სურმანიძეს** ჩვენი ოჯახისათვის წლობით დაგროვილი პრობლემის მოგვარებაში დახმარებისათვის. ვუსურვებთ წარმატებებს როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში. ასევე,მადლობას ვუხდით ***წყალმომარაგების საგარეჯოს სერვის-ცენტრის მენეჯერს* ოთარ ჩალათაშვილს** და მის თანამშრომლებს.



მადლობას ვუხდით ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს* ბიორბი ბზირიშვილს** მასზედ, რომ მან დიდი ყურადღება და თანადგომა გამოიჩინა ჩვენი საცხოვრებლის მცხოვრებთა მიმართ – გამგეობის მიერ გამოყოფილი თანხებით მოწესრიგდა წლობით პრობლემური კანალიზაცია, გადაიხურა შენობის დაზიანებული სახურავი, მოეწყო განმხოლოება, წესრიგში მოვიდა სასმელი წყლის ჭაბურღილი.

გამგეობა გაჭირვებულ ოჯახებს ეხმარება შეძლებისდაგვარად – წამლისა და ოპერაციის ფულს აფინანსებს ნაწილობრივ, რომელიც ის, ჩვენ გაჭირვებულ ადამიანების სასიკეთოდ გვადგება.

ბატონ გიორგი ბზირიშვილს ვულოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. იყავით ბედნიერი და ჯანმრთელი ჩვენი ხალხის საკეთლდღეოდ. გისურვებთ ყოველივე კარგს ცხოვრებაში.

პატივისცემით

ლამარა მეკალუაშვილი და ყოფილი პოლიტექნიკური ტექნიკუმის კორპუსის მცხოვრებლები:

ლელა ლაფერიშვილი, ნათელა ფირანიშვილი, გელა ბორაშვილი, დავით ზუკაკიშვილი, ვასილ ჭამიაშვილი, ნანა ყიასაშვილი

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექტორს **ბია (ბიორბი) მაისურაძეს.** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს, ახალ-ახალ გამარჯვებებს და წარმატებებს იმ მამულიშვილურ საქმეში, რასაც ის მთელი თავისი შესაძლებლობებითა და ენთუზიაზმით უდგას სათავეში.

აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“
თანამშრომლები

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექტორს, ქართული და სპორტული ტრადიციების თაყვანისმცემელსა და მიმდევარს, ჩვენი გაზეთის გულშემატკივარსა და გვერდში მდგომს **ბია (ბიორბი) მაისურაძეს.** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს, ახალ-ახალ გამარჯვებებს და წარმატებებს გარეკახელი სპორტსმენების აღზრდისა და მათთვის ხელშეწყობის საქმეში.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“
რედაქცია

ხსოვნა

მერაბ მეკოკიშვილი

2 იანვარს შესრულდება შენი გარდაცვალებიდან 8 წელი. 8 წლის წინ სამუდამოდ შეწყდა შენი გულისცემა. შენ ყველა გიყვარდა, ამიტომაც ყველა დიდი ტკივილით იგონებს შენს მიერ მათვის გაკეთებულ სიკეთეს. ჩვენ კი – შენი შვილები და შვილიშვილები შენზე მოგონებებით ვცხოვრობთ. ამ პერიოდში დაიბადა შენი მამუკას ნანატრი შვილი – ლუკა, შვილთაშვილიც შეგეძინა – ქეთის დათა.

მადლობა გვინდა გითხრათ იმ სიკეთისათვის, იმ ლამაზი წლების, იმ სიყვარულისათვის, რასაც შენ იჩენდი ჩვენთვის – შენი ცოლ-შვილისათვის. უფალმა გადმოგხედოს და სასუფეველი დაგიმკვიდროს.

მეუღლე მაყვალა ხუციშვილი,
შვილები – ნუკრი და მამუკა მეკოკიშვილები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაგრძნობას უცხადებს ამავე საკრებულოს წევრს ნინო დალაქიშვილს

ბიორბი

ფოცხვერაშვილის

გარდაცვალების გამო.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ საგარეჯოს რაიონული ორგანიზაცია მწუხარებით იუწყება ამავე ორგანიზაციის აქტიური წევრის

ბიორბი
ფოცხვერაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„და დარჩეს ხსოვნა, როგორც ლეგენდა

რობა როსტიაშვილი

რობა, შვილო! უკვე მეორე ახალი წელია ჩემთან აღარ ხარ, ახალი წლის მზადება ჩვენ ერთად ვიცოდით. იდექი ჩემს გვერდით და ერთგულად ყველაფერში მეხმარებოდი.



შენ ისედაც ძალიან სუფთა და მოწესრიგებული იყავი, მაგრამ ახალი წლის წინა დღეებში განსაკუთრებულად ზრუნავდი წესრიგზე.

როგორ მენატრება ის დრო. მინდა კიდევ ერთად ვიყოთ და ვემზადებოდეთ ახალი წლისათვის, მაგრამ ეს ყველაფერი ჩემთვის უკვე აუხდენელი ოცნებაა.

როგორ მინდა სადმე დაგინახო. ჩემი თვალები სულ შენ დაგეძებენ. შენს სახლშიც წავიდა დედა, რომელი სახლიც შენ ძლიერ გიყვარდა, დედას კი საშინლად შეეჯავრა, მაგრამ ვერც იქ გიპოვე. სიცარიელე და დედას გულის გასახეთქად საშინელი მდუმარება სუფევდა შენს ეზო-ყურეში.

ვიდექი ეზოში და ყველა მხარეს შენ დაგეძებდი, შვილო! მინდოდა საიდანმე მომავალი დამენახე და გეთქვა: დედა მოვედი, აქა ვარო. მაგრამ, არა, შვილო, ვერ გიპოვე. შემოვუარე სახლს და დაგიძახე კიდეც რამდენჯერმე, მაგრამ არ გამაგონე. ვიცი, შვილო, არ შეგეძლო და იმიტომ არ გამაგონე თორემ, რომ შეგძლებოდა, აუცილებლად გამაგონებდი – უყურადღებოდ არ დატოვებდი ჩემს დაძახილს, იმიტომ, რომ ყველაზე ძალიან დედის ხმა გიყვარდა. ჩვენ ხომ უერთმანეთოდ ვერა ვძლებდით. ზუსტად ეგ მიკვირს, ამდენი ხანი როგორ გავძელით უერთმანეთოდ, რატომ არ ეძახი დედას და არ მიგყავს შენთან.

აგერ უკვე მეორე ახალი წელი მოვიდა, შვილო, უშენოდ. არც კი ვიცი, როგორ გაუძლო დედამ ამდენს, დედამ, რომელსაც ისევ სჯერა თავისი შვილის მოსვლისა და ამ იმედით დაგეძებს შენს ეზოში თუ სახლის ყველა კუთხე-კუნჭულში და დარწმუნებულია, სადმე გიპოვის.

ძნელია შვილო, უშენობა! საშინლად მიმძიმს, მაგრამ რა გავაკეთო, არ ვიცი. ცხოვრება კი მიდის თავისი დინებით. ახლა ზამთარია, მალე ახალი წელი მოვა. დედა ვეღარ ხედავს შენს ღიმილიან და გაბრწყინებულ სახეს.

მენატრები ჩემო ძვირფასო, მაგრამ ვემორჩილები უფლის ნებას და ვაგრძელებ ცხოვრებას. იცოდე, რომ ყოველი დღე შენი ნახვის ოცნებით იწყება და მთავრდება. შენი სახელის ხსენებაზე საშინლად ვიტანჯები და მონატრების საშინელი სურვილით ვკანკალებ, შვილო! როგორ მინდა სადმე დაგინახო, ჩაგეხუტო, დაგიკოცნო შენი ლამაზი თვალები, შენი სითბო და სურნელი იგრძნოს დედამ, რომელსაც სიგიჟემდე ენატრები.

სადაცაა ახალი წელი შემობრძანდება ყველას ოჯახში, შვილო! მინდა შენც მოგილოცო ახალი წელი და ვთხოვო უფალს, რომ შენს მარადიულ სამყაროში მშვიდობა, სიკეთე და სიხარული სუფევდეს.

ნათელში იყოს შენი კეთილი სული, შვილო, რობა!

დღეები მიდიან, დღეები მოდიან,
ეს მწარე დღეები ნეტავ რად მოდიან!?
მე სიხარული და ხალისი მინდოდა.
მაგრამ ბედისწერავ, ასე რად გამწირე,
სიხარულს ველოდი, ნეტავ სად წავიდა?!
გვერდი ამიარა და მწარედ დამცინა,
განა ბევრს ვითხოვდი?! – სიცოცხლე მიყვარდა,
მაგრამ დავისაჯე, მწარედ დავისაჯე,
ეს რის საფასურად, ვერაფერს ვერ ვიგებ,
ჩემო ბედისწერავ, ასე რად დამსაჯე!
შვილი გამაცალე და თვალს მიაფარე.
რარიგ მენატრება, ვერსად ვერ ვპოულობ,
ჩემო ბედისწერავ, ასე რად გამწირე!
სიბერე უბედურ დღეებად მიქციე“.
ყველას ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები რობა!..

დედა მანანა ქოქიური-როსტიაშვილი

2015 წლის საგარეჯოელ სპორტსმენთა საუკეთესო ათეული

1.თამაზ კირაკოზაშვილი

ევროპის ჩემპიონი, ევროპის გუნდურის III პრიზიორი (ავსტრია, ობერვარტი), მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ახალგაზრდებში, მსოფლიო ჩემპიონატის II პრიზიორი,(ა.გ.ს. აბუდაბი), მსოფლიო თასის ვერცხლის პრიზიორი ახალგაზრდებში, (გერმანია, ბერლინი), საქართველოს უფროსი ასაკის ნაკრების წევრი, ევროპის თასის ვერცხლის პრიზიორი (საბერძნეთი,ათენი).

2. ირაკლი კუპატაძე

ევროპის ჩემპიონი სამბოში ახალგაზრდებს შორის, საქართველოს ჩემპიონი სამბოში დიდებში,საქართველოს II პრიზიორი ძიუდოში ახალგაზრდებს შორის, ევროპის თასის ჩემპიონი (საბერძნეთი,ათენი), მსოფლიოს თასის III პრიზიორი სამბოში უფროს ასაკში (ბელორუსია,მინსკი), მსოფლიოს III პრიზიორი ძიუდოში ახალგაზრდებში,(ა.გ.ს. აბუდაბი). საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის.

3. ზურა ერბოწონაშვილი

ევროპის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

4. კობა მჭედლიშვილი

საქართველოს პრიზიორი უფროს ასაკში, ევროპის თასის ჩემპიონი ძიუდოში ახალგაზრდებს შორის (საბერძნეთი, ათენი), ევროპის გუნდურის III პრიზიორი (ავსტრია,ობერვარტი), მსოფლიო ჩემპიონატის II პრიზიორი ძიუდოში (ა.გ.ს. აბუდაბი), საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის,

5. ნატალია ყიფშიძე

საქართველოს ჩემპიონი, თბილისის ოლიმპიური ფესტივალი 2015-ის III ადგილი.

6. ირაკლი ზირაქაშვლი

მსოფლიოს ჩემპიონი მკლავჭიდში დიდებსა და ახალგაზრდებს შორის. ოქროს მედალი მარჯვენა ხელით გადაწევაში და ვერცხლის მედალი მარცხენა ხელით გადაწევაში (მალაიზია, კუალა ლამპური)

7. სიმონი მამარდაშვილი



საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის სამბოში, საქართველოს II პრიზიორი ახალგაზრდებში, სამბოს საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი, (სასომხეთი, ერევანი). საქართველოს III პრიზიორი ქართულ ჭიდაობაში ახალგაზრდებში.

8. ელდარ ჯიქიძე

საქართველოს სარეიტინგო ჩემპიონატის გამარჯვებული ჭაბუკებში, ევროპის თასის II ადგილის მფლობელი (თურქეთი ანტალია), მსოფლიო ჩემპიონატის III ადგილი გუნდურში.

9. მურაზ გიორგაძე

20 წლამდე ალაფის ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე,

10. ნანი უნაფქოშვილი

საქართველოს ჩემპიონატზე 20 წლამდელთა შორის III ადგილი, საერთაშორისო ტურნირზე II ადგილი.

გაერთიანებაში ფუნქციონირებს სპორტული სექციები:

1. თავისუფალი ჭიდაობა
2. ძიუდო
3. ქალთა ძიუდო
4. ქართული ჭიდაობა
5. კრივი
6. კარატე
7. ფეხბურთი
8. რაბი
9. ჭადრაკი
10. სამბო
11. ტაეკვანდო
12. კალათბურთი

2015 წელს ფუნქციონირება დაიწყო ახალმა წრეებმა – ტაეკვანდოში, III საჯარო სკოლის სპორტდარბაზში და ძიუდოს წრე სოფელ ხაშმში.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

რედაქტორი: თინათინ ილაური